პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 27 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

18 (1013) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ახალი ენერგიით და ძალით მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში პარტკონფერენციების დადგენილებები.

ჩვენი დივიზიების პარტკონფერენციები დასრულდა. მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს. ჯამი გაუკეთდა წარსულ მუშაობას. დაისახა ახალი ამოცანები.

პირველი რაც უნდა აღინიშნოს პარტკონფერენციების მუშაობაში ეს—იშვიათი საქმიანი და ფხიზელი მიდგომა ყველა საკითხებისადმი დელეგატების მხრივ. არ დატოვებულა მომავალი მუშაობის არც ერთი მხარე, რომელიც დაწვრილებით, საფუძვლიანად არ გაერჩიოს პარტკონფერენციებს. პოლიტსაგანმანათლებლო საკითხები, ორგანიზაციული საკითხები, შეკრებათა შორის მუშაობის გაძლიერება, პარტაღმშენებლობის საკითხები, კომკავშირში მუშაობის საკითხები და სხვა—ყოველივე ეს მთლიანად ამოწურული იქმნა და ყველა ამ საკითხებზე პარტკონფერენციამ გამოიტანა მტკიცე, ნათელი დადგენილებები, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ მუშაობას.

ეხლა ჩვენი წითელი დივიზიების პარტორგანიზაციების წინაშე სდგას ამოცანა ყველა ამ გადაწყვეტილებების ნაყოფიერად და წარმატებით ცხოვრებაში გატარება.

და ამ მხრივ უნდა ამოქმედდეს მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია დაწყებული ასეულის კომუჯრედიდან და ზევით, და მტკიცედ, შეურყევლად უნდა შეუდგეს პარტკონფერენციების რეზოლიუციების განაღდებას. ყოველი წევრი ჩვენი პარტორგანიზაციისა მოვალეა დაწვრილებით გაეცნოს ამ დადგენილებებს და აქტიურად ჩაებას მათი განხორციელების საქმეში. მხოლოდ დაუღალავი მუშაობით, გაასკეცებული ენერგიით ჩვენ შევსძლებთ ყოველივე იმის გატარებას, რაც დაადგინეს პარტკონფერენციებმა, რომელთა გადაწყვეტილებების მთავარი, ძირითადი მიზანია—ჩვენი წითელი ჯარის განმტკიცება, გაძლიერება, ტერაღმშენებლობის საქმის მაღალ საფეხურზე დაყენება.

და თუ ეხლახან დასრულებულ პარტკონფერენციებზე ჩვენ მტკიცედ ვაღვიარეთ ჩატარებული მუშაობის დიდი მიღწევები, ეს იყო თავდადებული, ენერგიული შრომის ნაყოფი.

ამიტომაც წინანდელი ენერგიით და უფრო მეტად კიდევ განვაგრძოთ ჩვენი წითელი ჯარის შემდეგი განმტკიცების საქმე, რომლის საუკეთესო თავდებს წარმოადგენს უკანასკნელ პარტკონფერენციების რეზოლიუციების მთლიანად და სავსებით განხორციელება.

## ავსტრიის ბურჟუაზიულ სასამართლოს „სამართლიანობა".

ავსტრიაში გაასამართლეს თეთრგვარდიელები პიხნო და ბოროდინი, რომლებმაც გასულ წელში განიზრახეს საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ბერზინის მოკვლა. მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და ისინი დაპატიმრებულ იქნენ. მათთან ერთად იყო მესამეც—ვარად შევჩენკო.

მაგრამ შევჩენკომ მკვლელობას ამ საზიზღარი განზრახვის გამომჟღავნება ამჯობინა. მან გულწრფელად აღიარა მთელი საქმის ვითარება საბჭოთა კავშირის საელჩოში და მიუთითა ბოროტგამზრახველებზე.

სასამართლოს დროს ბრალდებულებმა უარი განაცხადეს წაყენებულ ბრალდებაზე.

როგორც სჩანს სასამართლომაც მათ დაუჯერა. როგორც რადიო გადმოგვცემს ვენის სასამართლომ გაამართლა ეს კონტრრევოლიუციონური ნაძირალები, მიუხედავად იმისა, რომ მათი დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები საკმაოდ მოეპოვებოდა ხელში.

ცხადია ავსტრიის სასამართლოს ასეთი საქციელი ღრმა აღშფოთების და სასტიკი პროტესტის ღირსია.

პიხნოს და ბოროდინის გასამართლება—ეს მორიგი გამოლაშქრებაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ავსტრია შვეიცარიასავით იქცევა. ასეთი განაჩენის გამოტანით ის ნიადაგს უმზადებს ახალ თავდასხმების მოწყობას საბჭოთა წარმომადგენლებსა და საბჭოთა ქვეშევრდომებზე, რომლებიც ავსტრიის სახელმწიფოს ფარგლებში იმყოფებიან.

პიხნოს და ბოროდინის გამართლების შემდეგ ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ხვალ ან ზეგ კვლავ მეორე თავდასხმას არ მოაწყობენ თეთრგვარდიელები რომელიმე ჩვენ წარმომადგენელზე.

ამიტომაც საჭიროა პასუხი მოეთხოვოს ავსტრიის ხელისუფლებას, თუ რითი ხელმძღვანელობდა ის, როცა ამართლებდა თეთრგვარდიელ ბანდიტებს. შეიძლება ჩვენ გვიპასუხონ, რომ ეს სასამართლოს საქმე არისო? მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ბურჟუაზიული სასამართლო ბურჟუაზიული მთავრობის კარნახის ქვეშ მუშაობს. ასე რომ ყოველგვარ მიკიბ-მოკიბულ პასუხებით ჩვენ არ დავკმაყოფილდებით. ჩვენმა მთავრობამ კატეგორიულად უნდა მოთხოვოს ავსტრიის ხელისუფლებას ჩვენი წარმომადგენლების სავსებით უზრუნველყოფა ყოველგვარ საფრთხისაგან, რომელიც მათ მოელის მოხეტიალე თეთრგვარდიელებისაგან.

ამისათვის საჭიროა პიხნომ და ბოროდინმა შესაფერი სასჯელი მიიღონ ჩადენილი დანაშაულისათვის, რაც გაფრთხილება იქნება სხვა კონტრ-რევოლიუციონური ნაძირალებისათვის.

ავსტრიის ხელისუფლებამ დაუყონებლივ უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვენის სასამართლოს „სამართლიანობა" მას ძვირად დაუჯდება.

—მ.

# ახალი რადიო ამბები

## ბურჟუაზიული „მართლმსაჯულება"

### საბჭოთა ელჩის მოკვლის განმზრახველთა საქმე.

**დანაშაული დამტკიცდა, ხოლო დამნაშავენი კი გაამართლეს.**

შაბათს ვენაში (ავსტრიაში) დაიწყო თეთრგვარდიელთა გასამართლება, რომლებსაც ბრალი ედებათ ავსტრიაში მყოფ საბჭოთა კავშირის ელჩის ბერზინის მოკვლის განზრახვაში. ბრალდებულ პიხნომა და ბოროდინმა თავი დამნაშავედ არ სცნეს. გამოირკვა, რომ ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდენ მათ ბულგარეთის რეაქციონერები. დამტკიცდა აგრეთვე ისიც, რომ ხსენებული პირები აწყობდენ საბჭოთა ელჩის მოკვლას.

მიუხედავად ამისა მსაჯულთა თათბირმა 7 ხმით ხუთის წინააღმდეგ პიხნო და ბოროდინი გაამართლა.

## ჩეხო-სლოვაკია სსრკ-ს ცნობის წინ.

ჩეხო-სლოვაკიის სახალხო დემოკრატები, რომლებიც წინააღმდეგი იყვენ საბჭოთა კავშირის ცნობის, ეხლა აღარ ეწინააღმდეგებიან მთავრობას ამ საკითხში. საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი გარჩეულ იქნება მინისტრთა საბჭოში.

## ბალკანეთის სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი

რუმინეთში ამ ჟამად მთავარი ადგილი უჭირავს საკითხს ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირისა და „სსრკ-ს ჩარევის შესახებ ბალკანეთის პოლიტიკაში". მთელი ბურჟუაზიული გაზეთები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის მიზანი ბალკანეთში—ეს არის მცირე ანტანტის კავშირის განადგურება და რუმინეთის განცალკევება ამ კავშირიდან.

## ჯალათი ჯალათმა შესცვალა

ცანკოვის გადადგომის შემდეგ მისი ალაგი დაიკავა ლიაპჩევმა. ბულგარეთში ძველებურად გრძელდება მშრომელთა შევიწროება და ტერორი. მუშები და გლეხები ისევ ისე იტანჯებიან ათასობით ციხეებში. ამასთანავე დაკავშირებით კომინტერნმა მიმართა ყველა ქვეყნების მშრომელებს მოწოდებით, რათა ხმა აღიმაღლონ ბულგარეთის ჯალათურ მთავრობის წინააღმდეგ და წინაღუდგენ, რათა მათმა მთავრობებმა არ მისცენ ბულგარეთს სესხი ტერორისტულ ბატონობის გასაძლიერებლად.

## ამიერკავკასიის ცაკის მეორე სესია

### სესიის გახსნა.

25 იანვარს, საბჭოთა სომხეთის დედა ქალაქ ერევანში გაიხსნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასკომის მეორე სესია. სესია გახსნა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომლის შემდეგ მისალმების სიტყვით გამოვიდა რამოდენიმე დელეგატი.

### ამხ. ორახელაშვილის მოხსენება.

**უწინ და ეხლა.**

ამიერკავკასიის მთავრობის სახელით მოხსენებით გამოვიდა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი. მან და-



ამხ. მ. ორახელაშვილი.

ახასიათა ამიერკავკასიის მდგომარეობა გასაბჭოებამდე, მენშევიკებისა და დაშნაკების პოლიტიკა და აღნიშნა თუ რამდენად წავიდა წინ გასაბჭოების შემდეგ ეროვნული პოლიტიკა და მასთან ამიერკავკასიის მეურნეობის მდგომარეობა.

**დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან.**

შემდეგ მოხსენებელი შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, აღნიშნა მისი გაძლიერება ამ მხრივ და გადავიდა ამიერკავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაზე.

მომხსენებელმა კმაყოფილებით აღნიშნა ის კეთილმეზობლური განწყობილება ოსმალეთთან და სპარსეთთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდის და გამოსთქვა იმედი, რომ ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მტკიცე და მეგობრული გახდება.

## ერთიანი ფრონტით.

გერმანელ სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს კომუნისტების წინადადება გამოვიდენ პარლამენტში ერთიანი ფრონტით ზოგიერთ საკითხებში.

## ავსტრიის მუშათა დელეგაცია სსრკ-ში.

27 იანვარს საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ავსტრიის მუშათა დელეგაცია. ზოგიერთი სამრეწველო დაწესებულებებში დელეგატებს უარი უთხრეს საბჭოთა კავშირში გაშვებაზე; სწარმოებს მოლაპარაკება.

## გომინდანის ყრილობა

### მოწოდება უცხოელების ბატონობის დასამხობად

გომინდანის (ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური პარტია) ყრილობაზე ილაპარაკეს განაპირა ადგილების დელეგატებმა.

დელეგატების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ ადგილებში სწარმოებს პარტიაში შინაგანი ბრძოლა; პარტიის უმეტესობა მხარს უჭერს მარცხენა მიმართულებას. ზოგიერთ ადგილებში სწარმოებს ფულების შეკრება შანხაიში დახვრეტილთა ოჯახების სასარგებლოდ.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა იაპონიის ხალხს შეერთებულად იბრძოლონ ჩინეთთან ერთად უცხოელების ბატონობის ჩამოსაგდებად.

## ლენინის გარდაცვალების 2 წლის თავი.

### გლოვის საღამოები ჩეხო-სლოვაკიაში.

შაბათსა და კვირას მთელს ჩეხო—სლოვაკიაში ჩატარებულ იქნა ლენინის ხსოვნის საღამოები.

პრაგაში სტუდენტებმა მოაწყვეს ლენინის ხსოვნის საღამო რუსულ ენაზე.

# პირველი ქართულ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია.

## დილის სხდომა 21 იანვარს.

თავმჯდომარეობს ამხ. ლომიძე. დივიზიის პოლიტგანყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს

## ამხ. კვირიკაძე.

„დიდმა ხანმა განვლო, რაც კონფერენცია არ მოწვეულა. ბევრი რამ გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში გვაქვს ბევრი ღირსშესანიშნავი



ამხ. კვირიკაძე.

მიღწევები, რასაც პარტკონფერენციამ ხაზი უნდა გაუსვას.

მენშევიკების ჯარის დაშლის შემდეგ საქართველოში მშრომელებს უნდა შეედგინათ მისი დამცველი ჯარი. შეხედულება წითელ ჯარზე სულ სხვა ნაირი იყო, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა სრულებით შეცვლილია მით, რომ წითელი ჯარი საკმაოდ არის გამტკიცებული და ასრულებს და შემდეგშიც შეასრულებს ყოველივე იმ დავალებებს, რომლებსაც მას აკისრებენ მუშები და გლეხები. აღსანიშნავია ბუნებრივი ზრდა წითელ ჯარისა. მიუხედავათ იმისა, რომ პარტორგანიზაცია წარსულში იყო სუსტი, დღეს კი ეს მდგომარეობა შეცვლილია. ამის გამო საჭიროა საქართველოს წითელ ჯარმა გადაიხადოს თავის 5 წლის არსებობის იუბილე.

პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობა გამოიხატებოდა სახელმძღვანელო მასალების დაგზავნაში და აგრეთვე ცოცხალი კავშირის დაკავებაში. ხშირად იწვევოდა თათბირები სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევად ნაწილების მომუშავეთა თანდასწრებით.

კომკავშირის მუშაობის გამოსარკვევათ და ხელმძღვანელობის მიზნით ორხელ იყო მოწვეული კომკავშირის მომუშავეთა თათბირები, რამაც მოგვცა საშვალება ამ მუშაობის გამოსწორებისათვის. სამხედრო კორესპონდენტების კონფერენციამ აგრეთვე მოგვცა სასურველი შედეგები. სწარმოებდა ნაწილებიდან გამოძახება კომუჯრედის მდივნების, პოლიტხელების პოლიტ-განყოფილების თათბირზე მოხსენების გასაკეთებლად.

### პარტიული მუშაობა.

პარტიის ზრდა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სულ ამ წელში მივიღეთ 206 წევრი, მათში 168 წითელ არმიელი და 38 კაცი მეთაურთა შემადგენლობიდან. პარტიის კანდიდატებად კი 180 კაცი, უმთავრესად რიგის წითელ არმიელებია. სოციალური მდგომარეობის მიხედვით უფრო მეტია გლეხები.

პარტმუშაობაში ჩვენ გადავედით ასეულის კომუჯრედების სისტემაზე, რაც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. კომუჯრედების რიცხვი ამ წლის განმავლობაში 50 პროც. გაიზარდა.

თვით კომუჯრედის მდივნების შემადგენლობაში სოციალურ მდგომარეობის მიხედვით იმატა გლეხების რიცხვმა და იკლო „მოსამსახურეების“, თითქმის 50 პროც. კომუჯრედის მდივნების შემადგენლობისა წითელ არმიელები და უნცროს მეთაურები არიან, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გაიზარდა აგრეთვე კომუჯრედთა მდივნების შემადგენლობაში უფ შემადგენლობის რიცხვი.

მთელი პარტორგანიზაცია კი ერთ წლის განმავლობაში გაიზარდა 80 პროც.

### კომკავშირის მუშაობა.

დიდი მიღწევები ჩვენ გვაქვს ამ დარგშიც. კომკავშირის ჯგუფები ჩამოყალიბებულია ისეთივე სისტემით, როგორც პარტუჯრედები. კომკავშირის შემადგენლობიდან შერჩეულია საკმაო რიცხვი მომზადებულ კომკავშირის ჯგუფების ორგანიზატორებისა, რომელნიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ კომკავშირის ძირითად მუშაობას. კომკავშირის ორგანიზაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს უპარტიოთა შორის მუშაობა, განსაკუთრებით ახალწვეულთა შორის. არა ნაკლებ ყურადღება უნდა მიექცეს მომავალ მუშაობაში კომკავშირის განათლების სკოლებს, რომელნიც ჩამოყალიბებულია ყველა ნაწილებში.

შემდეგ ამხ. კვირიკაძე ახასიათებს დივიზიის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობას და დისციპლინის მდგომარეობას ჩვენ ნაწილებში.

### სააგიტ-საპროპ. მუშაობა.

დღეს ჩვენ გვაქვს ერთი მთლიანი ორწლიანი პროგრამა პოლიტმეცადინეობისათვის. მეცადინეობის ჯგუფურ სისტემით გატარებამ ჩააბა პოლიტიკურ მუშაობაში დიდი რიცხვი მეთაურთა შემადგენლობისა. სურამში ყოფნის დროს ჩვენ გავმართეთ მეთოდიური სემინარები ჯგუფის ხელმძღვანელთათვის, სადაც თეორეტიული და პრაქტიკული მომზადება გაიარა 53 კაცმა. და თუ ამ ჟამად ჩვენ ვხედავთ ნაწილებში მეთოდიურ მუშაობას, ეს სემინარების ნაყოფია უმთავრესად.

წელს პოლიტმუშაკებს შედარებით სხვა წლებთან უფრო კარგ პირობებში უხდებათ მუშაობა. შედგენილია ორწლიანი პროგრამა, ეწყობა პოლიტმუშაობის კაბინეტი, შემოღებულია მტკიცე ვადა ჯარში სამსახურისა და სხვა.

პარტგანათლება მოკლებული იყო მეთოდიურ ხასიათის მუშაობას, ხელმძღვანელები მიმართავდენ გადაცემის დროს ლექციურ სისტემას, რომელიც არ იძლეოდა არავითარ დადებით შედეგებს. ქუთაისის გარნიზონის ფარგლებში გაიმართა პირველ საფეხურის პარტსკოლების ხელმძღვანელთა მეთოდიური კურსები სანიმუშო პარტმეცადინეობებით, რის შემდეგ პარტსკოლების მუშაობა დადგა პროგრესის გზაზე. რაც შეეხება მეორე საფეხურის პარტსკოლებს, აქ უთუოდ უნდა იქნეს შემოღებული ლაბორატორიული მეთოდი და აუდიტორიის აქტივობაში—თვით მომზადებას უნდა დაეთმოს პირველი ადგილი.

სანსაათი კიდევ არ ტარდება კომპლექსიურ სისტემით, აღებულია კურსი ამ ნაკლის გამოსასწორებლად. სულ დივიზიაში 182 ჯგუფია, მათში უცოდინართა—43 ჯგ., მცირე მცოდნეთა—71 ჯგ. და მცოდნეთა—68 ჯგ.

უმაღლეს ორგანოებიდან თანხების გაცემამ მოგვცა ჩვენ საშვალება საგამომცემლო საქმის დაწყებისა. იქნება გამოცემული სხვა და სხვა სახელმძღვანელო მასალები პოლიტმუშაობისათვის.

ასეთია მოკლედ ჩვენი მიღწევები პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ამხანაგებმა ადგილებიდან უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი ჩვენ მუშაობის ამა თუ იმ საკითხებზე, რათა ამით იქნეს უზრუნველყოფილი ამ მუშაობის წარჩინებით ჩატარება მომავალში. ჩვენმა პარტორგანიზაციამ უნდა თქვას თავისი გადამჭრელი სიტყვა“.

(მხურვალე ტაში)

## 22 იანვარი.

მომხსენებლის მიერ მრავალ წერილობითი შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოხსენების ირგვლივ გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 24 კაცმა. ამხანაგები ადგილებიდან თავის სიტყვაში უმთავრესად ეხებოდენ იმ დეფექტებს მუშაობაში, რომელსაც ქონდა ადგილი ნაწილებში, და მიუთითებდენ პოლიტგანყოფილებას, რათა მან გააძლიეროს ცოცხალი კავშირი ნაწილებთან, რათა იქნეს პრაქტიკულად დასმული საკითხი პოლიტხელთა გადამზადების შესახებ. აგრეთვე ამხანაგები გამოთქვამდენ სურვილს, რათა ჩვენმა დივიზიამ გადადგას ნაბიჯები ამიერკავკასიის სხვა ნაციონალურ დივიზიებთან მტკიცე კავშირის დასაჭერად, მათში წარმოებულ მუშაობის გასაცნობად. ამის გარდა ამხანაგები აღნიშნავდნენ მუშაობით ზედმეტ დატვირთვას იმ მეთაურთა შემადგენლობისა, რომელნიც აწარმოებენ პოლიტმეცადინეობას ჯგუფებში.

დიდი სივიწროვეს განიცდიან ჯგუფურ მეცადინეობის ხელმძღვანელნი სასწავლო ნივთების და მასალების საკმაო რიცხვის უქონლობის გამო. ერთ-ერთ ამხანაგი სთვლის აუცილებელ საჭიროდ მომავალში კომკავშირის კონფერენციის მოწვევას, რაც გამოაცოცხლებს კომკავშირის მუშაობას. სამხედრო სწავლების ნორმალურ მსვლელობის უზრუნველყოფისათვის ერთი ამხანაგი ხაზგასმით აღნიშნავს წესდების გამოცემის აუცილებლობას ქართულ ენაზე, პირველ რიგში დისციპლინალურ წესდებისა.

სხვა მრავალი პრაქტიკული წინადადებები იქნა შემოტანილი ამხანაგების მიერ. რასაც ჯამი გაუკეთა მომხსენებელმა ამხ. კვირიკაძემ თავის საბოლოო სიტყვაში, რის შემდეგ პარტკონფერენციამ დივიზიის პოლიტიკური განყოფილების მუშაობა სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად.

## სხდომა 23 იანვარს.

მოხსენებას არმიის პარტკომისიის და დივიზიის პარტკომისიის მუშაობის შესახებ აკეთებს

## ამხ. სერაპიონ ლომიძე.

„მთავარი მუშაობა რომელიც ჩაატარა პარტკომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამბობს მომხსენებე-



ამხ. ს. ლომიძე.

ლი ეს იყო წმენდის გატარება, რომელშიდაც აღმოჩნდა რომ პარტიული მუშაობის აქტივობა და მომზადება ჩვენში უკეთ დგას, ვიდრე სამოქალაქო პარტორგანიზაციებში.

დივიზიის პარტკომისია სრული შეთანხმებით მუშაობდა დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან. ჩვენი სხდომები ეწყობოდა უმთავრესად ნაწილებში, სადაც ეძლევოდა საშვალება მისაღებ ამხანაგების გარდა სხვა ამხანაგებს დასწრებისა. მისაღებ ამხანაგების დაკითხვის დროს იყო დაბნევა, მაგრამ პარტკომისია ყოველგვარ საშუალებას აძლევდა ამხანაგებს გამოეთქვათ რაც კი იყო საჭირო, მიღების დროს პარტკომისია იღებდა მხედველობაში მიმღებთა მომზადების დონეს, მაგალითად: ის მეტს სთხოვდა გურულს, ვიდრე კახელს ან ახალციხის მაზრიდან გამოსულ წითელ არმიელს.

პარტკომისიას მტკიცე კავშირი ქონდა ქართულ სამხედრო პროკურატურასთან, ტრიბუნალთან და სამხედრო და საზღვაო ინსპექციასთან.

პარტიაში ლტოლვა დიდი იყო, განაგრძობს ამხ. ლომიძე, რაც უნდა მიეწეროს საერთოდ პარტმუშაობის გაუმჯობესებას. ამ ლტოლვას აქვს ორნაირი ხასიათი. უმრავლესობა გულწრფელად შემოდიან პარტიაში, ზოგნი კი შემოდიან თავის თანამდებობის შენარჩუნების მიზნით.

პარტიაში მიღების დროს ადგილი ქონდა ტეხნიკურ ხასიათის დეფექტებს. უმთავრესად აღსანიშნავია ავტობიოგრაფიების დაგვიანება სამაზრო დაწესებულებიდან და თემებიდან, რის გამო სათანადო შეამდგომლობა იყო აღძრული პარტკომისიის მიერ საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე.

იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენ მიერ პარტიაში მიღებული ამხანაგი სამოქალაქო პარტორგანიზაციების მიერ იქნა გამორიცხული პარტიიდან, რის გამო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შემდეგში ამა თუ იმ ამხანაგის მიღების დროს გამოცხადდეს დიდ გაზეთებში როგორიც არის „კომუნისტი“ და სხვა.

შემდეგ ამხ. ლომიძეს მოჰყავს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიაში წევრებად და კანდიდატებად მიღებულთა შესახებ რიცხობრივი ცნობები და გამოსთქვამს სურვილს, რათა შემდეგშიაც დივიზიის პარტორგანიზაცია ისეთივე სწორი გზით წასულიყოს როგორც ამას ქონდა ადგილი წარსულ საანგარიშო პერიოდში.

(მხურვალე ტაში)

შემდეგ ამხ. ლომიძე აძლევს პასუხს წერილობით შეკითხვებზე.

მოხსენების ირგვლივ რამოდენიმე ამხანაგი გამოვიდნენ კამათში, რომლებიც უმთავრესად ეხებოდნენ ნაწილებში პარტიაში ლტოლვის საკითხს სათანადო პრაქტიკული წინადადების შეტანით.

ამხ. ლომიძეს საბოლოო სიტყვის შემდეგ პარტკონფერენციამ პარტკომისიის მუშაობა სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ სხდომა დაიხურა.

რ.

# უცხოეთის არმიებში

### საბერძნეთის არმია რეორგანიზაციის შემდეგ.

მცირე აზიაში დამარცხების შემდეგ საბერძნეთის არმიაში მოხდა დიდი რეორგანიზაცია. ამ ჟამად ის შესდგება 5-თი კორპუსისაგან (15 ქვეითა დივიზიისაგან სამ-სამი ლეგიონით თითეულში) ერთი საკავალერიო და ერთიც საარტილერიო დივიზიებისაგან. საჰაერო ძალები შესდგებიან ესკადრილიებისაგან, 6-8 აპარატებით თითეულში. სამთო არტილერია იყოფა ცალკე დივიზიონებათ 4 ბატარეიანი შემადგენლობით, ხოლო საველე კი საარტილერიო ლეგიონის სახით თითეული 3-სამი დივიზიონის შემადგენლობით შედის კორპუსებში. არმიაში საგრძნობია შეიარაღების ნაკლებობა, რის გამო მთავრობა ყოველგვარ ზომებს ღებულობს უცხოეთიდან იარაღის შემოტანის შესახებ, უმთავრესად ინგლისიდან და ამ უკანასკნელ ხანებში იტალიიდანაც.

სავალდებულო სამხედრო სამსახური გრძელდება ორ წლამდე ამა თუ იმ ნაწილის შეიარაღების მიხედვით. მშვიდობიან დროს არმიაში იმყოფება 5,500 ოფიცრამდე და 63 რიგის ჯარისკაცამდე.

საბერძნეთის არმია უახლოეს მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძლიერ შესამჩნევია პარტიული დაყოფა წითელ არმიელებსა და ოფიცრებს შორის.

### იტალიის საჰაერო აკადემია.

1923 წელში საზღვაო აკადემიასთან ერთად იტალიის ქალაქ ლივორნოში გაიხსნა საჰაერო აკადემიაც. აკადემიაში ღებულობენ საშვალო ცოდნით. გამოცდების დროს ყოველთვის დიდი კონკურსი ინიშნება.

სწავლის კურსი გრძელდება 2 ნახევარ წელიწადს და მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეები გადიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კურსსაც. მესამე წელში გადადგომის დროს კურსანტები ღებულობენ „ასპირანტის“ სახელწოდებას, ხოლო კურსის დამთავრების შემდეგ ღებულობენ პოდპორუჩიკების თანამდებობას.

სწავლა ფასიანია, მაგრამ ამასთანავე ერთად შემოღებულია გადასახადში შეღავათები და ზოგიერთებს ანთავისუფლებენ კიდევაც.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

# მეორე ქართულ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია.

ამხ. ლევანდოვსკის სიტყვის შემდეგ პარტკონფერენცია შეუდგა დღის წესრიგის გარჩევას. მოხსენებას პოლიტგანის მუშაობის შესახებ აკეთებს

## ამხ. მარკაროვი.

„მე ბევრს არ შევჩერდები მიღწევებზე, როგორც ეს მიღებული არის საერთოდ, არამედ მეტნაწილად მე ვილაპარაკებ დეფექტებზე. ანგარიშის გაკეთება მიხდება დივიზიის დაარსების დღიდან, რაც მეტად მიმსუბუქებს ამოცანას.



ამხ. მარკაროვი.

დივიზიის არსებობის პირველი პერიოდია ორგანიზაციული, როცა ჩვენ არ ვიცოდით თუ რა სახეს მიიღებს ჩვენი სამხედრო შეერთება. როგორც იცით, პრაქტიკული ნაბიჯები ტერიტორიალური სისტემის განსახორციელებლად ჩვენში, საქართველოში გადადგმული იქნა 1924 წ. მაისში. ამ დროს წარმოიშვა მოსაზრება: ერთი ტერიტორიალური დივიზია აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე—ძირედი დასავლეთ საქართველოში".

შემდეგ ამხ. მარკაროვი დაწვრილებით ეხება დივიზიის აპარატის ჩამოყალიბების პროცეს.

„მაშინ, ამბობს მომხსენებელი, დასავლეთ საქართველოში ჩვენი პირველი ამოცანას წარმოადგენდა ტერალმშენებლობის იდეის პოპულიარიზაცია მოსახლეობის შორის. უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში ეს საქმე ძლიერ გვიძნელდებოდა, ვინაიდგან ჩვენ ახალი მომუშავეები ვიყავით ამ დარგში. აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრა ამოცანა, ტერალმშენებლობის პროპაგანდა თვით ჩვენი დივიზიის ძირეული შემადგენლობის შორის. ამ მხრივ დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ჩვენი ძირედი შემადგენლობის მოსამზადებლად, რასაც შედეგად მოყვა ძირითადი გარდატეხა ძირედი მეთაურების შეგნებაში და მათ შეხედულებაში ტერსისტემაზე. დღეს დივიზიას ყავს სავსებით მომზადებული და ტერალმშენებლობისადმი თავდადებული მეთაურთა და პოლიტ შემადგენლობა. იმ დროს როცა დივიზია სურამში იდგა, პოლიტგანის მიერ გამოყოფილი იქნა ამხანაგების ერთი ნაწილი, რომლებიც იქვე ადგილზე აწარმოებდნენ უშუალო, ცოცხალ ხელმძღვანელობას ნაწილების მუშაკებზე. ამის შედეგად ჩვენ დიდი მიღწევები მივიღეთ, ძალების შესწავლისა, ნაწილების მომუშავეების მიწერისა და „თვით შეკრებისათვის მომზადების დარგში".

აქ ამხანაგი მარკაროვი აღნიშნავს იმ სიძნელეებს, რომლებიც თან ახლდენ მიწერას, რომელიც მიუხედავათ ბევრნაირი დაბრკოლებების მაინც სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

„მიწერის შემდეგ ცვალებად შემადგენლობასთან კავშირის დაჭერის აუცილებლობამ წარმოშვა ჩვენთან თემის რწმუნებულთა ინსტიტუტის შექმნის იდეა. ამისათვის მოწვეულ იქნა ცვალებადელების კონფერენციები, რომლებზედაც არჩეული იქნენ რწმუნებულები, რომელთა შორის იყვნენ კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიონიც. სხვათა შორის ეს კონფერენციები პირველი ცდაა მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც დაამტკიცა და მოიწონა პოლიტსამმართველოს საინსპექციო კომისიამ. რწმუნებულები დიდ როლს თამაშობენ ცვალებად შემადგენლობასთან კავშირის დაჭერის საქმეში შეკრებათა შორის, რომელიც თავის მხრივ საუკეთესო თავდებია თვით შეკრების სწორი გატარებისა. როგორც ამხ. ლევანდოვსკიმ სთქვა—ტერსისტემამ მართლადაც შეაბრუნა პირით ყაზარმა სოფლისაკენ. საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს ჩვენი ცვალებადელები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ, მრავალი მათგანი გაყვანილ იქნა საბჭოებში. ეს დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ის ელემენტები, რომლებიც წითელ ჯარში არიან გაყვანილი სამსახურის მოსახდელად, აგრეთვე დიდად სასურველი არიან საბჭოთა მუშაობისათვისაც.

### 1902 წ. 3 თვიანი მზადების წინასწარი მომზადება.

აქ ადგილი ქონდა ზოგიერთ მატერიალურ ხასიათის ნაკლს, როგორც მაგალითად ტანსაცმელის დარიგების დაგვიანებას. მაგრამ მიუხედავათ ამ მატერიალური ხასიათის დაბრკოლებებისა, ნაწილების მუშაკებმა დიდი ენერგია და თავდადება გამოიჩინეს, რათა მეცადინეობა დაეწყოთ დანიშნულ ვადაზე. საერთოდ 1902 წლიანების შეკრება წარმატებით ჩატარდა. 1902 წლიანების სამთვიანი მომზადებიდან ჩვენ სათანადო გამოცდილება მივიღეთ საერთო ტერშეკრების ჩასატარებლად. სამთვიანი სწავლების დროს პოლიტგანყოფილება ცოცხალ ხელმძღვანელობას უწევდა ნაწილებს. პოლიტგანის მუშაკები სისტემატიურად იგზავნებოდენ ნაწილებში საინსტრუქციო ხასიათის მუშაობის საწარმოებლად იქ. როცა დაიწყო საერთო შეკრებები, პოლიტგანმა სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა ნაწილებს მუშაობაში, რითაც გამოიწვია ნაწილის მომუშავეების ინიციატივა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს დამოუკიდებელ მუშაობისაგან".

„რაც შეეხება საერთო შეკრებების ჩატარებას—აქ საკმარისია ვსთქვა, რომ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს კომისიას ვერ გადაეჭრა, თუ ჩვენი დივიზიის რომელი ლეგიონისათვის მიენიჭებია წარჩინების ნიშანი. თვით ამ კომისიის აზრი შეკრების ჩატარების შესახებ დივიზიის მაშტაბში ასეთია: მდგომარეობა ჩვენს დივიზიაში არაფრით არ ჩამოუვარდება იმ დივიზიებისას, რომლებიც სამი-ოთხი წელიწადი არსებობენ".

### წვევამდე მზადება.

აქ ამხანაგი მარკაროვი აღნიშნავს ყველა იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წვევამდე მზადების დროს. ასეთები იყო უმთავრესად მატერიალური ხასიათის დაბრკოლებები, კომკავშირის სუსტი მონაწილეობა წვევამდე მზადების ჩატარებაში და სხვა. მაგრამ შედარებით გასულ წელთან წლევანდელი წვევამდე მზადება გაცილებით მეტის ნაყოფიერებით ჩატარდა.

### პარტიული ბირთვის შესახებ.

პარტიული ბირთვი ცვალებადელთა შორის მიღებულია ნაწილობრივ და არა ყოველგან.

დივიზიაში მთლიანად პარტიულების პროცენტი არა საკმაოა. მომავალ გაწვევის დროს საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე მივაღწიოთ მას. არის მაზრები, სადაც იმყოფება შესაფერი წლების პარტიის წევრების საკმაო რაოდენობა, მაგრამ ისინი არ არიან მიწერილები, რაც რასაკვირველია არა ნორმალურია.

დიდ მიღწევებს ვხედავთ ჩვენ კომუჯრედების რიცხვის ზრდაში, როცა ვადარებთ 1925 წ. და 1926 წ. იანვრის თვეებს, ამჟამად თითქმის ყველა წერტებზე გვაქვს კომუჯრედები.

გასულ წელში რესპუბლიკის ტერიტორიალური სამმართველო გადმოვიდა ჩვენს ხელქვეით. უკანასკნელ გაწვევის დროს ჩვენ პირველი მაგალითი გვქონდა, როცა ის მუშაობა გაწვევის გარშემო, რომელსაც ატარებდა სამხედრო კომისარიატის აპარატი შეთანხმებული იყო სამწყობრო ნაწილთან, ჩვენს დივიზიასთან. ბუნებრივია, რომ ამან დიდი შედეგები მოგვცა ჩვენი ნაწილებისათვის შესაფერი ელემენტების შერჩევის დარგში. ეს კეთდებოდა იმ მოსაზრებით, რათა ძირედი შემადგენლობის დემობილიზაციის შემდეგ ისინი გამოგვეყენებია შეკრებათა შორის მუშაობის დროს.

### მუშაობა სამხედრო სკოლებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მეთაურთა სკოლასთან პოლიტგანს თითქმის არ აქვს კავშირი. საჭიროა ამის მიზეზების გამორკვევა და სათანადო ღონისძიებების გამონახვა პოლიტგანისა და შეერთებულ სკოლის მუშაობის სრული შეთანხმებისათვის. საჭიროა პოლიტგანის ხელმძღვანელობის გაძლიერება შეერთებულ სკოლაზე.

რაც შეეხება სამხედრო პოლიტიკურ სკოლას აქ საქმე უკეთ არის, კავშირი ნორმალურია, ის რამოდენიმეთ შესუსტებულ იქნა დივიზიის მუშაობით შეკრების დროს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცხენოსან ლეგიონის მუშაობას და საჭიროთ სცნობს, რათა ამ მუშაობას რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს.

### აგიტპროპ მუშაობა შეკრებათა შორის.

ამ მხრივ პირველ ყოვლისა საჭიროა მუშაობის წარმოება მოსახლეობის გასამხედროების მიზნისათვის, სამხედრო კუთხეების მოწყობისა და მათი სათანადო ლიტერატურით მომარაგების სახით და სხვა. აქ უნდა აღვნიშნო სამხედრო კუთხეების რიცხვის ზრდა.

ამ ჟამად თითქმის ყველა მაზრებშია მოწყობილი სამხედრო კუთხეები. არის შემთხვევები, როცა ადგილობრივ პოლიტგანათლებებიდან მოდის მოთხოვნილებები მათი სამხედრო ლიტერატურით მომარაგების შესახებ. სამხ. კუთხეების რიცხვმა ქოხ-სამკითხველოებში სოფლად მიაღწია 40. მოსახლეობის გასამხედროების საქმეში საჭიროა ანგარიში გაუწიოთ იმ როლს, რომელსაც თამაშობს და მომავალშიც ითამაშებს გაზეთი „წითელი არმიელი". ნაწილების მომუშავეებმა უნდა გამოიჩინონ საჭირო ენერგია, „წითელ არმიელის" გავრცელების საქმეში. საჭიროა მივაღწიოთ მას, რათა ჩვენი გაზეთი მიდიოდეს რესპუბლიკის ყველა კუთხეებში, რომ არ იყოს ისეთი ადგილი, სადაც არ იწერდენ მას.

### დასკვნები.

ჩატარებული მუშაობის დასკვნები შემდეგია: შეკრებები წარმატებით ჩატარდენ. შეკრების შედეგია ის, რომ სამხედრო სამსახურს გადიან აგრეთვე ეროვნული უმცირესობები, როგორც მაგალითად, თურქები, აზხაზები, აჭარლები და სხვა, რომლებიც დღემდი არ გადიოდენ სამხედრო სამსახურს. ჩატარებულია დიდი მუშაობა.

ცხადია, იყო დეფექტები. დიდ დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს შედეგები, რომლებიც მიღწეულია სამოქალაქო ორგანიზაციების ყურადღების გადიდებაში ტერალმშენებლობის მიმართ საქართველოში.

მომავალში აუცილებლად საჭიროა კიდევ უფრო ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში სამოქალაქო ორგანიზაციები, რომ მათი დახმარებით შევსძლოთ შევქმნათ დივიზია, რომელიც ყოველ წუთში მზად იქნება გამოვიდეს პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად.

(მხურვალე ტაში).

# სამხედრო საქმე.

## ზვერვა—ძიება.

### ძიება არმიის თვალი და ყურია.

სამხედრო ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როცა ძიების მოუგვარებლობის გამო მთელი ნაწილები მარცხდებოდენ ტყვილა—უბრალოდ. ამიტომ ეს რთული საქმე რაც შეიძლება უკეთ უნდა შეისწავლო, რომ ბრძოლის ველზე არ დამარცხდე.

ყოველ ნაწილმა, მიუხედავად თავისი შემადგენლობისა, სადაც არ უნდა იყოს ის, ზევიდან განკარგულების დაუცდელად უნდა მოაწყოს ძიება.

ძიების წარმოება შეიძლება ჰაეროპლანების, ცხენოსნების, ქვეითისა და ჯაშუშების საშუალებით. პატარა ჯარის შეერთებულებათათვის უფრო მნიშვნელოვანია ცხენოსანი მძიებლები. ძიება ქვეითთა საშვალებით სწარმოებს, როცა 1) არ მოიპოება ცხენოსანთა საკმაო რაოდენობა ან და ცხენოსნებს მოქანცულობის გამო მუშაობა არ შეუძლიათ; 2) როცა ცხენოსნების მუშაობა მოუხერხებელია, (მთიან, ჭაობიან ადგილების ხშირი ტყისა, და ამინდის გამო: თოვლი, ბურუსი, ბნელი ღამე).

ქვეითი ძიება თავის შემადგენლობის მიხედვით შესდგება მძიებელ ჯგუფისა და მძიებელ მზვერავებისაგან. მძიებელი მზვერავები იგზავნებიან ჩვეულებრივად ათეულის შემადგენლობით. მათ ეძლევა შემდეგი ამოცანა: მივიდენ მტერთან და შეჰკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ის, თუ რა ძალები აქვს მას, რას აკეთებს, როგორია მისი ჯარების შემადგენლობა, ხოლო თუ შესაძლებელია, გაიგონ რა ბრძანება და განკარგულება აქვთ მიცემული, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება მტრის განზრახვის გაგება. ამას გარდა მძიებელ მზვერავებს შეიძლება მიენდოს ცნობების შეკრება იმის შესახებ, დაკავებულია თუ არა მტრის მიერ ესა თუ ის ადგილი.

ამასთან ერთად მზვერავთა ჯგუფს გააცნობენ, სად და როგორაა მოთავსებული ჩვენი ნაწილები, სად იმყოფება მოპირდაპირე (მიღებულ ცნობის მიხედვით), მზვერავ ჯგუფის ნომერი, რა საგნები და ადგილები უნდა დაიზვეროს უსათუოდ, სად, საიდან და როდის გაიგზავნოს დასმენა, მოხსენება, სად და როდის დაბრუნდეს, მზვერავთა გასვლისა და დაბრუნების დრო. ყველა ეს ცნობები საჭიროა მზვერავთა მუშაობის წარმატებისათვის.

ი. ბ.

## რა ამოცანებს ასრულებს ლეგიონის არტილერია.

თითეულ მსროლელ ლეგიონს ჰყავს თავისი არტილერია, ლეგიონის ბატარეია. ის საჭიროა ლეგიონის ცეცხლის ძალის გასაძლიერებლად. მართლაც, ბრძოლის თანამედროვე საშუალებანი (ტყვიამფრქვევები, გრანატები, ბომბმტყორცნები, ნაღმმტყორცნები და სხვა) იმდენად განვითარდენ და განუწყვეტლივ ვითარდებიან, რომ ყველა ამ დაბრკოლებათა დასაძლევად მსროლელ ლეგიონისთვის საჭიროა ძლიერი იარაღი, სახელდობრ არტილერია. ბრძოლის მთელი სიმძიმე აწევს ქვეითა ნაწილს, რომელიც ბოლოს და ბოლოს უშუალოდ უნდა შეებას მტერსა და შემუსროს ის.

რომ გავარკვიოთ რა ადგილი უჭირავს ბრძოლაში არტილერიას, ე. ი. რა ამოცანებს ასრულებს ის,—განვიხილოთ ქვეითი ჯარის შეტევითი ბრძოლა.

შეტევის მომზადება სწარმოებს არტილერიის მასების, ჯარის არტილერიის მიერ (არტ. ლეგიონის ბატარეია, ცალკე საარტილერიო დივიზიონი და სხვა), რომელიც ხსნის ცეცხლს შორი მანძილიდან. ქვეითი ჯარის მტერთან მიახლოების მიხედვით, არტილერიის ცეცხლი თანდათან გადაიტანება წინ ისე, რომ მანძილი მოწინავე ნაწილებსა და იმ მიზნებს შორის, რომელიც უნდა შემუსროს არტილერიამ, უნდა იყოს არა ნაკლებ 300 მეტრისა, რათა თავისიანებს არ მიაყენოს ზარალი. თავისთავად ცხადია, რომ ამ 300 მეტრის მანძილის უბანზე გამოჩნდებიან მტრის ტყვიამფრქვევები, ჯავშნიანი ავტომობილები, ტანკები; მათთან ბრძოლა ჩვენს ქვეითა ნაწილებს არ შეუძლიათ, ხოლო არტილერიის მასას არ შეუძლია ამ მიზნებში სროლა, ვინაიდან შეიძლება დააზარალოს თავისიანები.

აი აქ, შეტევის მძიმე პერიოდში, ლეგიონის არტილერია, რომელიც თან ახლავს მას დახმარებას გაუწევს ყველა ამ დაბრკოლებათა დაზიანებაში. ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას, რომ ჯარის არტილერია ასრულებს შავ მუშაობას, ხოლო ლეგიონის—ანადგურებს და სწმენდს უცებ გამოჩენილ დაბრკოლებებს. ლეგიონის არტილერია უნდა იყოს მოძრავი, ადვილად შეეხამებოდეს ადგილმდებარეობას და მუდამ თან უნდა ახლდეს ქვეითა ნაწილს.

რომ განადგურებულ იქნას მტრის ტყვიამფრქვევის ბუდე, ტანკები ან ჯავშნიანი ავტომობილი, საჭიროა მარჯვედ იქნას გასროლილი თვითეული ჭურვი. ამრიგად, ლეგიონის არტილერიის საბრძოლო მუშაობა მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული ლეგიონის ასეთსავე მუშაობასთან. თუ მათ შორის კავშირი არ იქნება, შეუძლებელია ბრძოლაში გამარჯვებაც. მსროლელი უნდა იცნობდეს თავის უახლოეს მეზობელ ქვეითა არტილერისტს და, პირიქით, რათა საჭირო დროს დროზე დაეხმაროს და იხსნას ხიფათისაგან თავისი ახლობელი ამხანაგი.

პ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ორი წელი.*)

(ძვ. ბელადის ხსოვნას)

ყველგან ცრემლი, ყველგან კვნესა
და გოდება გულის მწველი...
გლოვის დროშებს აწერია:
„ულენინოდ—ორი წელი"!!!
ო! ეგ სიტყვა მეტად მძიმე
გულს გვიგმირავს ვით ლახვარი!
ყველა სტირის ძვირფას ბელადს
ვინ ვის უთხრას სამძიმარი!!!
ო! სიკვდილო! რად გვარგუნე
ჩვენ ესრეთი განაჩენი;
უსამართლოვ! რად წაგვართვი
ასე ადრე მამა ჩვენი!!!
მაგრამ... არა, ცოცხალია
არ მომკვდარა—არა, არა!
მშრომელ ხალხის გულში იყო
და იცოცხლებს იქვე მარად.
დე, ეს გლოვა და ტრაური
ყრუდ გოდება—ცრემლი ცხარი,
იყოს მსოფლიო ჩაგრულთა
გამარჯვების საწინდარი.

წ. არ. დ. ხაზალია.

*) სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს ლექსი გადის დაგვიანებით. რედაქცია.

## ექსკურსია ისტორიულ მუზეუმში.

მეთაურთა სკოლა.

მასწ. გორგაძის მეთაურობით სკოლის კურსანტები გავეშურეთ ქართულ უნივერსიტეტში მოთავსებულ ისტორიულ მუზეუმის დასათვალიერებლად.

მუზეუმის თანამშრომელმა ძალიან მხიარულად მიგვიღო. მან დაწვრილებით აგვიხსნა ყველა ქართული სიძველეების ისტორია, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. აქ ვნახეთ ქართული უძველესი ფულები, საცხოვრებელი ბინების მოდელები, ტანსაცმელები, საოჯახო ნივთები, ჭურჭლები და მრავალი სხვა.

აქვე ვინახულეთ და დაწვრილებით დავათვალიერეთ ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო უძველესი თოფები, ზარბაზნები, ხმლები, სატევრები, მეფეების საომარი ჯავშნები და უძველეს ციხე-სიმაგრეთა მოდელები.

აქვე მოვაწყეთ აზრთა გაცვლა გამოცვლა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ძველი საომარი ტაქტიკა დღევანდელთან შედარებით.

უკანასკნელად კიდევ ვნახეთ ძველი მხატვრობის ნიმუშები.

ექსკურსიამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. დიდ მადლობას უძღვნით სკოლის ხელმძღვანელებს და ვსთხოვთ ხშირად მოგვიწყონ ასეთი ექსკურსიები.

სამხკორი რ. ქორიძე.

## წითელ არმიელთა შემოქმედება.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი კედლის გაზეთი.

მე-2 საქავშირო ასეული.

ლენინის გარდაცვალების ორი წლის თავის აღსანიშნავად ასეულში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი. გაზეთში უმთავრესად მოყვანილია ამხ. ლენინის ბიოგრაფიული ცნობები, მისი მოღვაწეობა ემიგრანტობის და რუსეთში ცხოვრების დროს. არალეგალური მუშაობა და მრავალი სხვა. გაზეთი შემდეგ ეხება აგრეთვე ჩვენს მიღწევებს ულენინოთ, ამ ორი წლის განმავლობაში, არის წერილები 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" შესახებ.

ამავე დღეს ასეულის შემადგენლობას უჩვენეს კინო-სურათები ბელადის უკანასკნელ ხანებში ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებზე.

სამხკორი ვ. გორათელი.

## ვინახულეთ ჯავშნოსანი მატარებელი.

2-ე მესანგრეთა ასეული.

ასეულმა მოაწყო ექსკურსია ნავთლუღში ჯავშნოსანი მატარებლის დასათვალიერებლად. წითელ არმიელებს ძლიერ აინტერესებდათ აღნიშნულ მატარებლებისა და ავტომობილების დაწვრილებითი დათვალიერება.

დავეწყვეთ და მწკრივად გავემართეთ სადგურისაკენ. იქ დაგვიხვდნენ ამხანაგები და დაგვათვალიერებინეს ჯავშნოსნები, გვაჩვენეს ყველა წვრილმანები და გვიხსნიდნენ მათ მნიშვნელობას. ექსკურსიამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდნენ ასეთს ჩვენი მესვეურები.

წ. არმ. არაქელოვი.

## რემედასის უჯრედი ჩვენთან.

3-მე ლეგიონი.

ცხენოსან მზვერავ ოცეულში დიდი ხანი არ არის რაც დავაარსეთ რემედის უჯრედი, რომელშიდაც იმყოფება 16 წევრი. საწევრო გადასახადი სურვილისამებრ იკრიბება. რემედასის მნიშვნელობაზე ყოველ თავისუფალ საათებში ხდება საუბრები, რაც დიდათ აინტერესებს წითელარმიელებს, საქმეს მხოლოდ ის გვიჭირვებს რომ სახელმძღვანელო წიგნები არ მოგვეპოვება, თუ მოგვეპოვება ისიც რუსულ ენაზე.

ამას წინეთ რემედასის ბიუროს მდივანს დაევალა სახელმძღვანელო წიგნების შოვნა.

იმედი გვაქვს ამ ნაკლსაც მოუღებთ ბოლოს და უფრო განაყოფიერებთ მუშაობას.

წ. არ. კ. ტაბატაძე.

## გამოცდებმა კარგი შედეგები მოგვცა.

6-ე ლეგ. ენისელის წერტი.

წვევამდელთა მეცადინეობა დამთავრდა ჩვენს წერტებზედ 15 იანვარს.

ამ ქამად მეცადინეობა სწარმოებს იმ პირებთან, რომელთაც არ გაუვლიათ 210 საათი, ავათმყოფობისა და სხვა და სხვა მიზეზისა გამო.

ასეულმა წერტზე მუშაობის ჯამის გასაკეთებლათ, გამოცდების დღეთ დანიშნა 16 იანვარი, რომელიც დაიწყო დილის 9 საათიდან და გაგრძელდა საღამოს 3 საათამდის.

თვითეული წვევამდელი სცდილობდა, რომ რაც შეიძლება, ერთმანეთზედ უკეთესად ეპასუხნათ დასმულ საკითხზედ.

წვევამდელების გამოცდებმა დამაკმაყოფილებელ შედეგების წინაშე დაგვაყენა. გამოცდების დასასრულს გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართეს ასეულის უფპოლიტშემადგენლობამ და მოუწოდეს მათ, რომ არ დაივიწყებოდეთ შეძენილი ცოდნა და ეცადონ გააღრმავონ ის.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ წვევამდელებიც, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს უფროსებს ენერგიული ხელმძღვანელობისათვის.

მათ ფიცი დასდვეს, რომ პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებებს.

გ. გველესიანი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მოხსენება ტერ-აღმშენებლობაზე

6-ხე ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა ლეგიონის მე-2-რე კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრნენ ახკომკავშირელები და უპარტიო წითელ არმიელები. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ტერ-აღმშენებლობის შესახებ ამხ. ხუციშვილი, რომელიც დაწვრილებით შეეხო თუ რა უპირატესობა აქვს ამ სისტემას და რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობისათვის. მეორე მხრივ ამ სისტემით სახელმწიფო თავიდან იცილებს ზედმეტ ხარჯებს და სხვა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. კარგი იქნება ხშირად მოაწყობდენ ასეთებს.

მიმდინარე საკითხებში განხილული იქნა საკითხი საწევრო გადასახადის შესახებ, რაზედაც მიღებული იქნა შესაფერი დადგენილება.

პარტკორი ი. ბ.

## ხშირად ასეთი მოხსენებები.

მეთაურთა სკოლა.

9 იანვარს შესდგა სკოლის მეორე ასეულის ახკომკავშირის ღია კრება. დაესწრნენ უპარტიოებიც. გაკეთებული იქნა მოხსენება ცეკას პლენუმის იმ დადგენილებების შესახებ, რომელიც აღნიშნავს ახკომკავშირელებისაგან გასართობებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზოგიერთის გაგებით ასეთი მოქმედება დაუშვებელი უნდა იყოს კავშირის წევრისათვის და უნდა გაირიცხოს ჩვენი რიგებიდანო. პლენუმმა ერთხელ და სამუდამოდ უარყო ასეთი შეხედულება და აღიარა, რომ ის არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებას. ცეკვა-თამაში და სხვა ასეთი გასართობები, რომლებიც ერთგვარ სიხალისეს, სიცოცხლეს და ახალგაზრდობასთან დაახლოებას იწვევს არ უნდა იქნეს აკრძალული.

შემდეგი განცხადებით გამოვიდა უჯრედის ორგანიზატორი, რომელმაც აღნიშნა ზოგიერთი რამ წესდების სისწორით დაცვის შესახებ და მოუწოდა ამხანაგებს მტკიცედ გაატარონ ის ცხოვრებაში.

სამხკორი ალ. გაგუა.

## აბა გამოიცანი?

ამოცანა № 3.

თუ გასავლელია 99 ფუტი მანძილი და ისეთივე პირობა დასდვეს A და B ბავშვებმა, როგორც ეს აღნიშნული იყო № 2-რე ამოცანაში, მაშინ რომელი მათგანი მოიგებს თამაშს?

## პასუხი შეკითხვებზე

**ბერუჩაშვილს.** მიმართედ თქვენს პოლიტხელს საკითხის გამოსარკვევად.

**უმც. მეთ. ანთიძეს.** ტარების ვადის გასვლის შემდეგ ტანსაცმელი თქვენს საკუთრებას შეადგენს.

**ანდრიაძეს.** ოჯახური მდგომარეობა თქვენ არ განთავისუფლებთ სამსახურიდან. კადრიდან ტერნაწილში გადარიცხვა არ შეიძლება.

**ბერიკაშვილს.** თუ უკანონოდ ხართ გაწვეული უნდა მიმართოდ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას. ოჯახის დახმარებისთვის მიმართედ აღმასკომს და გლეხკომს.

**№ ს.** ჯამაგირი უნდა მიიღოთ შტატის მიხედვით, და არა შესრულებულ მუშაობის მიხედვით.

**გ—ძეს.** სამსახურიდან დათხოვნილი ზედმეტ მსახურები უფასოდ ღებულობენ სამგზავრო ბილეთს (ბრძანება რევსამხსაბჭოს № 363—25 წ.)

**იასნოვს.** მიმართედ საბინაო კოოპერაციას.

**მამფორიას.** წ. ა. მოკლე ვადიან შვებულებაში გაშვება უფროსების უფლებას შეადგენს. (ბრძანება რევსამხსაბჭოს № 925).

**თვარაძეს.** დრო გატარებული კურსანტათ ნორმალურ სკოლაში ნამდვილ სამხედრო სამსახურათ გეთვლებათ (კანონი სავალდებულო სამხ. სამსახურისა მუხ. 37 და 38).

**უ—შაძეს.** დახმარება თქვენს ოჯახს სამხედრო უწყებიდან არ მიეცემა. მიმართედ ადგილობრივ აღმასკომს.

**მერა—ვს.** თადარიგში წასვლა არ შეგიძლიათ, ვინაიდან 1 ოქტომბრიდან 1925 წ. მეთაურთა შემადგენლობის სამსახურიდან განთავისუფლება შეწყვეტილია. (წ. დ. ა. ბრძანება № 409.)

**რ. 3.** თუ საშუალო მეთაურზე ყველა გამოცდები ჩააბარეთ, განთავისუფლებულ უნდა იქნეთ სამსახურიდან.

**მასწავლებელს.** მიმართედ ადგილობრივ განათლების განყოფილებას. ორი კვირის სალიკვიდაციო გერგებათ.

**მოსამსახურეს.** ძველი ადგილი არ გენახებათ, თუ თავისუფალი იქნა მოგეცემათ.

**მა—ძეს.** სახლის პატრონთან ხელშეკრულების დადება თქვენზეა დამოკიდებული, მას არ შეუძლია ძალით ხელშეკრულება დაგადებიოს.

## წითელ არმიელები მხიარულად შეგვხვდნენ.

მე-3 ლეგ. მე 4 ასეული.

უკვე დაუბრუნდენ ლეგსკოლაში გაშვებული წითელ არმიელები, რომლებმაც სავსებით დაამთავრეს უმცროს მეთაურთა კურსი და ასეულს დაუბრუნდენ საკმაოდ მომზადებული ათეულის მეუთაურები.

ამ ახალ ათეულის თავების მისვლამ ასეული ძლიერ გაამხიარულა. წითელ არმიელები აღტაცებით შეხვდენ ახალ უმცროს მეთაურებს, რომლებმაც უნდა გააღრმაონ წითელ არმიელების ცოდნა და განამტკიცონ მათი რიგები.

საღამოზედ მოხდა ასეულის კრება, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ათასეულის თავი და ასეულის უფპოლიტშემადგენლობა. ისინი მიესალმნენ ახალ მოსულ უმცროს მეთაურებს და მოუწოდეს, რომ მტკიცედ გაეტარებიოთ ის თეორიული ცოდნა-პრაქტიკაში, რომელიც მათ მიიღეს სკოლაში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე წითელარმიელები და სხვები. მეთაურებმა პატიოსანი სიტყვა მისცეს ამისთვის.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

გამოიწერე

გამოიწერე

გაზ. „წითელ არმიელი"

ამხანაგო

წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.
გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.
ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—
რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,
რამდენი ხელისმომწერი უშოვე
„წითელ არმიელ"-ს

გაზ. „წითელ არმიელი"

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე